ხუთშაბათი, 12 თებერვალი 1908 წ.

ისარი

წელიწადი მეორე—№ 34

ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1908 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ᲘᲡᲐᲠᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲡ:

ერთის წლით:	ნახევარი წლით:	ერთი თვით:
ტფილისსა და ამბორი . . . 7 მ.	4 მანეთი 50 კაპ.	90 კაპ.
სახელმწიფოებში . . . . . 12 მ.	6 მანეთი.	1 მანეთი 50 კაპ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲠᲘ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ:

	1	11	10	9	8	7	6	5	4	3	2	1
ტფ. და ტფილისს	წლით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით	თვით
გარეთ	7	6—50	6	5—70	5—30	4—90	4—50	4	3—80	2—60	1—80	90
სახელმწ.-გარეთ	12	11	10	9	8	7	6	5	4—50	3—50	2—50	1—50

ᲜᲘᲨᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ:

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ: 1) «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქუჩა, № 1, მილოვის სახლი); 2) «ქ. ᲗᲕ. ᲒᲠ.-ს. სპოგადოებაში» მაღაზიაში შიო ქუჩეკაშვილთან (სასახლის ქ., თავადაზნაურობის ქარვასლა); **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ:** ისიდორე ავალიანოვთან («იმერეთის» წიგ. მაღაზია); **ᲭᲘᲐᲣᲠᲐᲨᲘ:** ს. ტარიელაშვილთან (ქიათურის ბანკი).

ფასტიკი ფული უკანვეთად ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Кочубее вская ул. № 14. И. С. Агадзе.

ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐᲜᲓᲠᲔ ᲬᲕ. ᲒᲘᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐᲨᲘᲡ ᲛᲔᲦᲒᲔᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, მეუღლე მისი **ᲐᲜᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ** ᲛᲐᲛᲘᲡ **ᲝᲚᲖᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲗᲐᲚᲘᲡᲙᲘᲗᲐ** ამით მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და კეთილთა ჩვენთა, რომ პირველ ამა თებერვალს ყვავილით გარდაგვიცვალა პირველთა ასული, ხოლო დანარჩენთა და

ᲜᲘᲜᲐ ᲐᲠᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

(1—110—1)

ქვრივი **ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲩᲘᲭᲘᲜᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲦᲒᲔᲚᲘᲡ** შვილებით: **ᲑᲘᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲐᲓᲐᲜᲐᲜᲘᲐ** და **ᲛᲐᲙᲠᲘᲜᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲓᲐᲜᲐᲜᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** ᲐᲬᲣᲬᲣᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲗᲐ და ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲗᲐ, რომ ᲗᲣᲗᲘᲨᲕᲐᲗᲘᲡ, 14 თებერვალს, დილის 9 საათზე დანიშნული ქუთაისში მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში წესი წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელ მეუღლისა, მეორეთა ძეკირფას მამის და დანარჩენთა დაუფიწყარი ძმის

ᲙᲐᲢᲘᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲐᲓᲐᲜᲐᲜᲘᲐᲡ

სულის მოსახსენებლად. (2—კვ.—1)

ᲗᲐᲕ. ᲐᲠᲩᲘᲚ ᲓᲐ ᲔᲕᲔᲚᲘᲜᲐ ᲡᲐᲛ. ᲝᲜᲝᲜ ᲫᲔᲜᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲔᲑᲘ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შაბათს, 16 თებერვალს, სოფ. საკრიის (ზორაპანის მაზრაში) წმ. მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი საყვარელ მამის

ᲗᲐᲕ. ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲮᲝ ᲫᲘᲡ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐᲡ

სულის მოსახსენებლად. (2—ფ.—1)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲐᲛᲬᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 14 თებერვალს, 1908 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ᲔᲠᲗᲐᲛᲤᲝᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ბ. მგელიანის მონაწილეობით პირველად ორი ახალი პიესა.

I

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲮᲕᲐᲚ ᲡᲕᲘᲜᲐᲜ, ᲘᲡᲘ ᲬᲐᲮᲕᲐᲚ ᲨᲐᲜᲐᲜ

სცენები 2 მოქმედებად ავ. ცაგარლისა.

II

ᲐᲒᲐᲜᲬᲘ ᲒᲠᲔᲩᲐ

ხუმრობა 2 მოქმედებად გ. ხუნდაძისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ფ. ლეკვაკი, ბ. ნემიერიძისა, ვ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გაფფეველიძე, გ. ვეფაკაშვილი, ა. ინგოროკვა, ი. ივანიძე, ი. ქოჯიკი, ვ. ქორიძე, ალ. ბალიაშვილი, ალ. ბალიაშვილი, ალ. ბალიაშვილი

ლებთან, რომ ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება სოციალიზმმა თავისი თავი მეცნიერებად არ გამოიტანოსო „აზრის“ მეფელეტონის შეხედულებით, „უკიდურეს სუბიექტივისტურ სკოლის სოციალისტებიც კი თავის მოძღვრებას აგებენ არა გრძნობაზე, არამედ მეცნიერებაზე“. გამოდის რომ, სოციალიზმის დამყარება შეიძლება ან გრძნობაზე, ან მეცნიერებაზე. ქართველ მარქსისტებისათვის ეს აქსიომაა, საანბანო ჭეშმარიტებაა: ან გრძნობა, ან მეცნიერება; ან მეცნიერება—ან გრძნობა. ქართველი მარქსისტების ერთხელაც არ უფლვიმს თავში აზრი, რომ გარეშე გრძნობისა და მეცნიერებისა კიდევ ფართო ასპარეზია დარჩენილი ადამიანთა სულიერი მოქმედებისა; მათ აზრადაც არ მოსდით, რომ გრძნობასა და მეცნიერებასთან ერთად არსებობს კიდევ თვალგადაწეწულველელ სამფლობელო რელიგიის, მეტაფიზიკის, ფილოსოფიის და გნოსეოლოგიისა. ჩვენს მარქსისტებს გულწრფელად, დიახ სრულიად გულწრფელად აქვთ მიეწყვეტილი, რომ თვით მეცნიერება, თვით მეცნიერული მსოფლმხედველობა იგულისხმება მეტაფიზიკურს, რელიგიურს, ფილოსოფიურს და გნოსეოლოგიურს პოსტულატებს. საპოლემიკო ჟურნალებზე, ფურცლებზე და განვითარებული ქართველი მარქსისტები გულუბრყვილოდ ფიქრობენ, რომ სოციალიზმის დამყარება ან გრძნობაზე უნდა მოხდეს, ან მეცნიერებაზე—სხვა გზა არ არსებობ; მაგრამ თუ გრძნობას დაიმყარა, სოციალიზმი ქეიფის საქმე იქნება, მაშასადამე უმეტესი და ჩაბალი—ამიტომ, სოციალიზმის ერთად ერთი სფეროდ მეცნიერებაა. ასეთ ვიწრო შეხედულებათა ბრეკელებში ჩაკრული მარქსისტებს, რა თქმა უნდა სიცილი-დაც არ ეკადრებოთ, რომ ჩვენ შეუძლებელად მივიჩნიეთ სოციალისტური იდეალის დამტკიცება მეცნიერულად და მეცნიერულს ნიადაგზე.

„აზრის“ მეფელეტონეს გულუბრყვილოდ ჩვენია, რომ ამ საკითხში ჩვენი დამარცხება სულ უბრალო და სულ ადვილი საქმეთო. აქ ჩვენს დასამარცხებლად ის არც საბუთებს ეძებს, არც არგუმენტებს; მხოლოდ თითს იშვერს ჩვენსკენ და პარდაპირ განაჩენს კითხულობს: მაშასადამე თქვენ უარჰყოფთ სოციალისმსო... იყო ერთი დრო, ამბობდნენ დედა-მიწა თევზის ფრთაზე ან ხარის რქაზეა გაჩერებულიო. გაჩუნენ თევზენი, რომელთაც სთქვეს, არც ერთია მართალი, არც მეორე; დედა-მიწა რგვალია და თავის ღერძზე ტრიალებსო. ამ თავხედებს აზრს არავინ არ არღვევდა, იგინი პირდაპირ ეუბნეკის კერძად აღიარეს და ბატეკად დასაჯეს. სასჯელად იყო მათი დასჯა, მაგრამ მაინც დასჯეს. დასჯეს, იმიტომ რომ დედა-მიწის ეძრავობა აქსიომად, თვითმფოფელ ჭეშმარიტებად მიიჩნევდნ. დედა-მიწის ეძრავობა—აბსურდია; სისულელეა, მაგრამ მაინც მაინც ღრმად სწამდათ. ამ ნიადაგზე შემოშავდა ისტორიული ანდაზა eredo, quia absudum—მწამს, იმიტომ რომ ს სულიგლეარ. რა თქმა უნდა, ჩვენს თავს სიმართლისთვის იმ დიდებულ ნაწამებ ადამიანებს არ ვუდარებთ, რომელთაც თავის „თავხედური“ აზრებით მთელი ეპოროფება შესცვალეს. არ ვუდარებთ, რადგან ჩვენგან გამოთქმული აზრი, სოციალისტური იდეალის დამტკიცება მეცნიერულად შეუძლებელია, ეს აზრი კაკაბრიობისთვის ახალი არ არის. სადაც კი გონება მუშაობს, სადაც კი აზრი პოლემიკას არ დაუხარჩია—იქ ამ შეხედულებას არც თავხედურად სთვლიან და არც უსაბუთოდ. მაგრამ ჩვენი, ქართველი მარქსისტები ყოველთვის მწყარალად გაჰფლენენ გონების მუშაობასთან, ეხლაც მწყარალად ბრძანდებიან. ამიტომ ისინიც სრულიად უსაბუთოდ, უფრო მეტი—საბუთების მოუძებნელად იძახიან: შეხედეთ, „ისარი“ უარჰყოფს, რომ სოციალიზმი მეცნიერულად დასაბუთებული იყოს, „ისარი“ მაშასადამე უარჰყოფს სოციალიზმსო“.

როგორც ვთქვით, ჩვენ გვწამს, რომ ქართველი მარქსისტები ამას გულწრფელად ამბობენ. ამიტომ ვეცდებით დავანახოთ, რომ ღრმად შემცდარი ბრძანდებიან; ვეცდებით დავუმტკიცოთ, რომ სოციალისტური იდეალის დამტკიცება მეცნიერულის მართლი არ შეუძლიან.

5.

მეცნიერების გვირგვინი დაეჭშმარიტებული, უეჭველი ცოდნაა. მეცნიერება მუდამ ასეთ უეჭველ ცოდნას ეძებს. მეცნიერული ცოდნა უეჭველი ცოდნაა სადაც ასეთი ცოდნა არ არის, იქ არც მეცნიერებაა. რა თქმა უნდა მეცნიერება შეიძლება სცდებოდეს, შეიძლება მას უეჭველ ცოდნად მიიჩნევს ის, რაც არსებითად ანუ ნამდვილად ცოდნა კი არა, უცოდინარობა მაგრამ ეს შეცდომა ანგარიშში მისაღები არ არის, იმიტომ რომ ეგი ყოველთვის ეძებს ჭეშმარიტ შეგნების გარეშე იმყოფება. რაც მეცნიერებას თავის შეძენილ ცოდნად მიიჩნია, იმის სიმარცლე მას არც სიეჭვად ეგულება გაჩნდება თუ არა ეჭვი იმის შესახებ, რაც დღეს მეცნიერებას ცოდნად ეგულება, მაშინვე ეს ცოდნა ჰკარგავს თავის მეცნიერულს ხასიათს. იგი ამის შემდეგ ალარც უეჭველი და იმიტომ ალარც მეცნიერული. მეცნიერება, მგ., ამბობს, წყალმამდის და მეჯამადის შეერთება ჰქნის წყალსო. ქიმიას ეს უეჭველ ცოდნად, უთუო ჭეშმარიტებად მიიჩნია. თუ ოდესმე მეცნიერებამ დაინახა ან გამოარკვია, რომ წყალმამდის და მეჯამადის შეერთება ხან წყალს ჰქნის, ხოლო ხან კი სხვა რამ ახალ ნივთიერებას, ზემოხსენებულ ჭეშმარიტებას იგი მაშინვე აუცილებლად გამოპრიალებას მეცნიერულ ცოდნათა სალაროდან.

როგორც ვხედავთ, ახლა ხა და უცნაურს ჩვენ არაფერს არ მოგახსენებთ. რომელი პარტიისაც უნდა ბრძანდებოდეთ, რომელი ფილოსოფიური მსოფლმხედველობისაც უნდა იყოთ, რომელ სარწმუნოებისაც უნდა აღიარებდეთ, ეს სულ ერთია. მეცნიერული ცოდნა ყველასთვის ერთი და იგივე ხასიათისაა. იგი უეჭველი, დაეჭშმარიტებული ცოდნაა. არავის არ შეუძლიან მეცნიერული უწოდოს ისეთ ცოდნას, რომელიც მას საეჭვოდ მიაჩნია. აქ ჩვენ და ქართველი სოციალ-დემოკრატები ერთმანეთს ვერ შეეგებრძოლებით. ბრძოლის გასაქანი არ არის. ორივენი ერთის აზრისანი ვართ.

ვიკითხოთ ეხლა, რა ხასიათისა მეცნიერული დამტკიცება.—ეს ისეთი დამტკიცებაა, რომელიც მეცნიერულს ე. ი. უეჭველს ცოდნას იძლევა. სადავო საკითხებს რომ მხარი ავუქციოთ, მეცნიერულ დამტკიცების დასახასიათებლად ამაზე შორის არ წავალთ, თუმცა პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ეს დახასიათება გარეგნული და ფორმალურია. იგი არ იძლევა მეცნიერულ აზროვნების სუროს, არ არკვევს იმის შემოქმედებითს ძალოვს, არ განმარტავს იმ პოსტულატებს, რომელნაც მეცნიერულ აზროვნობას ობიექტურობის ე. ი. საუველთაო ხასიათს ანძლევენ და მით შესაძლოდ ხდიან დაეჭშმარიტებულ, უეჭველ ჭეშმარიტების მიგებას. აქ ჩვენთვის ასეთი არსებითი დახასიათება „მეცნიერულ დამტკიცებისა“ ანუ „აზროვნებისა“ არც საჭიროა. ჩვენის მიზნისათვის სრულიად საკმაო ჯერ ჯერობით ხაზი გაუსვამ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მეცნიერული დამტკიცება არ ეთქმის რაიმე ეჭეშმარიტების ისეთს დასაბუთებას, რომ ეს ეჭეშმარიტება უეჭველ ცოდნად არ წარმოგვიდგეს.

მაშასადამე, მეცნიერული ცოდნა—უეჭველი ცოდნაა, მეცნიერული დამტკიცება უეჭველ ცოდნის დამტკ ცებაა. ამ ორი წინადადებიდან არც ერთი არ შეიძლება უარჰყოს არც ერთმა კაკუთი მყოფმა ადამიანმა. შეიძლება უარჰყოთ თვით მეცნიერება, შეიძლება მიუწვდომელად და უნიადაგო ფანტაზად აღიაროთ მეცნიერების არსებობა, მაგრამ თუ კი მეცნიერების არსებობას სცნობთ, ვერ უარჰყოთ ვერც იმის, რომ მეცნიერული ცოდნა უეჭველი ცოდნაა, ვერც იმის, რომ მეცნიერული დამტკიცება უეჭველ ცოდნაა.

ეგრედ წოდებული „მეცნიერული“ სოციალიზმი ე. ი. მარქსიზმი ირწმუნება, სოციალიზმი მეცნიერულად დამტკიცებული ანუ დასაბუთებულია. ეი „აზრის“ ფელეტონისტიც სწერს: „მართალია, წინანდელი სოციალისტები ვერ ასაბუთებდნენ მეცნიერულად თავის იდეალს და ეს იმიტომ, რომ მაშინ არ იყო განვითარებული მეცნიერება, მარა (თუ მაგრამ?) თანამედროვე პროლეტარული სოციალიზმზე ასეთი აზრებსა შედგენენ ყოველივეს დავიწყებაოო“. ჩაუკვირდეთ ეხლა, „აზრი“ აქვს „მეცნიერულ“ სოციალიზმის რწმენებას, სოციალიზმი მეცნიერულად დასაბუთებულიაო.

ეს აზრი ცხადია და მარტივი. მარქსისტები ბრძანებენ, არაფერი ეგეი არ არსებობს, რომ სოციალიზმი აუცილებლად განხორციელდებო. სოციალიზმი დასაბუთებულია როგორც მეცნიერული ცოდნა ე. ი. დამტკიცებულია ისე, რომ ყოველსავე ეეჭს გარეშე იმყოფება ეჭეშმარიტება, რომ სოციალიზმი განხორციელდებიო. სოციალიზმის განხორციელება—ეჭეშმარიტებაა. აი, ამას ირწმუნება მარქსიზმი და მიტომ ჰქვიან მას **მეცნიერული** სოციალიზმი.

ოდნავაც არ აქ შეეხებით მარქსიზმის ამ ძირითადს რწმენას არსებითად, არც ვიკითხავთ, თუ რამდენად მართალია, ვითომც სოციალიზმის განხორციელება ყოველსავე ეჭეს გარეშე იყოს, რა თქმა უნდა, მეცნიერებისთვის. ვიკ თხავთ სულ სხვა რამეს, ვიკითხავთ იმას, თუ რამდენად შესაძლებელია იდეალად დასახული იქმნას ის, რაც უეჭველად განხორციელდება, ე. ი. ის, რაც დამტკიცებულია მეცნიერულად.

მეცნიერულად დამტკიცებული, მაშასადამ უეჭველი ეჭეშმარიტებაა, რომ ზამთარი რა მიიწურება, გაზაფხული დაიწყება. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ დამეს აუცილებელად დღე მოსდევს. მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მეჯამადის და წყალმამდის შეერთებას აუცილებლად მოჰყვება წყალი. მეცნიერულად დამტკიცებულია გაზაფხული, დღის და წყლის განხორციელება. მაგრამ ვის მოუვა აზრად, აქაო და მეცნიერულად დამტკიცებულია, ამიტომ იდეალად დავისახო ან გაზაფხული, ან დღე, ან წყალიო? რა თქმა უნდა არავის. რატომ? იმიტომ რომ მეცნიერულად დამტკიცებული ცოდნა გვასწავლის, **რა მოხდება** აუცილებლად და უეჭველად, და არა იმის, **რა უნდა** მოხდეს. იდეალი კი ის არაა, რაც მოხდება, არამედ ის, რაც უნდა მოხდეს. იდეალი და ცოდნა შეიძლება შინაარსის მხრივ ერთმანეთს ჰფარავდნენ, შეიძლება ის, რის განხორციელებასაც მეცნიერება წინასწარმეტყველებს, იდეალის შინაარსიც იყოს. შეიძლება იდეალი და ცოდნა ერთმანეთს კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ შინაარსის მხრივ. მეცნიერულად დამტკიცებული ცოდნაა, მაგალითად, ის, რომ ყოველ ადამიანს სიკვდილი მოელის, მაგრამ არც ერთი სიდი და ქკვთა მყოფი ადამიანი სიკვდილს არ ისახავს იდეალად. რატომ? იმიტომ რომ ცოდნა სხვაა, იდეალი კიდევ სხვა არის. ცოდნა უგულოა, ისაა არც გრძნობა აქვს, არც სურვილი, იგი ერთნაირ ის გულგრილობით ვიწინასწარმეტყველებთ კარგსაც და ავსაც, ერთსთვის თვით კარგი და ავი არ არსებობს, იგი სიკეთის და ბოროტების გარეშე სდგას. იდეალი კი—ბენნერების. სიკეთის, ბოროტების, სიკოცხლის დანაშნულების ან მიზნის კითხვაა. ცოდნა, განსაკუთრებით მეცნიერული ცოდნა—შეზარი გონების ნამოქმედარია, იდეალი კი—მთელი ადამიანის სულიერ არსებისა, ყველა იმის სულიერ ძალებისა, განსაკუთრებით კი იმის არსების მგრძნობიარე ნაწილის ნაყოფია. ცოდნა მით უფრო უმაღლესია, რაც უფრო ნაკლებ უწევს იგი ანგარიშს ადამიანის ბენნერებას, რაც უფრო გულგრილად და გულაცივად იყვლევს ბუნებას ე. ი. იმას, რაც ხდება ღდეს და რაც მოხდება შემდეგში. იდეალი-კი პირიქით მით უფრო უმაღლესია, რაც უფრო ღრმად ეასწვდება ადამიანის სურვილს, მისწრაფებას, გრძნობას, ბენნერებას, სიკეთეს და სხვა, მეცნიერებისთვის უინტერესო სულიერ ვითარებას. ცოდნით იდეალის გამართლება ისეთივე შეუწყნარებელი ამსუროდა, როგორც იდეალით ცოდნის დასაბუთება. იყო ღრო კაკაბრიობის წარსულში, როცა ცოდნა და იდეალი განუყოფელ ერთიულად ჩაეგებოდა ადამიანთა თვით შეგნებას, მაგრამ მაშინდელ ცოდნას თანამედროვე თვით შეგნება ცოდნად არა სთვლის, განსაკუთრებით არა სთვლის მეცნიერულ ცოდნად, ხოლო მაშინდელს იდეალს კი შეუწყნარებელ იდეალად არ აღიარებს. კაკაბრიობის განვითარებამ ცოდნა და იდეალი განაკალკეკა ერთმანეთისაგან, თითოეულს მთგანს თავის საკუთარი ადგილი მიუჩინა.

ეთქვთ, მეცნიერებამ მეცნიერულად დამტკიცა და დასაბუთა, რომ სოციალიზმი აუცილებლად და უეჭველად განხორციელდება. განა ეს იმას ჰნიშნავს, ვითომც მეცნიერულად იყოს დასაბუთები სოციალიზმი, როგორც იდეალი? სრულიადაც არა. რატომ? იმიტომ რომ მეცნიერულად შეიძლება დასაბუთდეს ცოდნა და არა იდეალი.

ეთქვათ. მეცნიერებამ მეცნიერულად დამტკიცა, რომ 1910 წელს პირველ იანვარს აუცილებლად და უეჭველად ყველა ადამიანები ამოწყდებიან ქვეყანაზე და დარჩებიან მხოლოდ პირუტყვნი, მეცნარენი და არა ოროგანული ნივთიერებანი. განა აქედან იმ დასკვნის გამოტანთო, რომ იდეალად ადამ ანთა ამოწყვეტა დასახათო? რა თქმა უნდა, არა. რატომ? იმიტომ რომ მეცნიერებას იდეალთან ბელი არა აქვს, იმას არც იდეალებს დასაბუთება მოეთხოვება, არც იდეალების დარდვევა; იმისი საქმე ცოდნაა, უეჭველი, დაეჭშმარიტებული ცოდნა და მხოლოდ ცოდნ.

ეგრედ წოდებული მეცნიერული სოციალიზმი სწორედ მეცნიერების ძირითადს მცნკნის წინააღმდეგ სცოდავს. იგი ასაბუთებს იმას, რაც მეცნიერების საქმე არ არის, ასაბუთებს იდეალს. მაგრამ არა, ასაბუთებს არა იდეალს, არა ეიდ ცოდნას, განსაზღვრულ შინაარსის ცოდნას და შეიდგ ამ ცოდნას იდეალად ასაღებს. ეს მეეენერული სოციალიზმის ძირითადი და ამასთან არსებითი სიყალბეა. იგი ყალბობს, საზიზღად ყალბობს, როცა ამბობს, სოციალისტური იდეალი მეცნიერულად დავასაბუთეთო. ცნობილი ეკონომისტი და მეცნიერი კარლ მარქსი, ცნობილ სამეკნერო წიგნის „კაპიტალის“ ავტორი მარქსი თავის მეცნიერულ „კაპიტალში“ ლაპარაკობს და იმიერს კაპიტალიზმის განვითარების კანონებს და არა სოციალისტურ ან არა სოციალისტურ იდეალს. კარლ მარქსის დაუფასებელი მეცნიერული დავწერა სწორედ ისაა, რომ მან მეცნიერების ერთს დარგში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ადადგინა მიუკარძეველი, ობიექტიკური, იდეალისაგან განშორებული ეკლეკა ძიება მეცნიერულ ეჭეშმარიტებისა. რა თქმა უნდა, მარქსი უიდეალო საზოგადო მოღვაწე არ იყო, პირიქით. მაგრამ მარქსი თავის ეხლანდელ ბრძა ან ცმიერ მიმდევრებსავით არ ურევდა ლოგიკურად ერთმანეთში ცოდნას და იდეალს. იმას კარგად ესმოდა სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე.

როგორც ვხედავთ, მეცნიერებას სოციალისტური იდეალის დამტკიცება მართლა არ შესძლებია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საერთოდ მეცნიერება არავითარ იდეალს არ ამტკიცებს და არ ასაბუთებს. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვარო, ეს ისეთი მარტივი აზრია, რომ ყველა ნიუფგამელი მკოთხელი, რომელიც კი გულდინჯად წაიკითხავდა ამ წერილს, უკვე საკმაოდ დარწმუნებული იქნება ჩვენი შეხედულების სიმართლეში. მაგრამ ამ პირდაპირის საბუთის დამოუკიდებელივ ერთი არა პირდაპირი საბუთიც გვინდა წამოვაყენოთ წინ.

ეგკოდინენმა, რომ სოციალური მეცნიერებანი ყველა სხვა მეცნიერებაზე ნაკლებ განვითარებულნი არიან. არც ერთი სოციალური მეცნიერული დისციპლინა არ არის დღეევანდლამდე მტკიცედ და შეურყეველ საფუძველზე გაჩერებული. სოციალურ მეცნიერებისთვის ჯერ-ჯერობით ისევ საღაო კითხვა, რა შეადგენს ამ მეცნიერების საგანს, რა მეთოდით უნდა ისარგებლოს მან და რა მნიშვნელობა აქვს სოციალურ კანონს. ეგკოდინენმა ისიც, რომ ჯერ ვერც ერთი სოციალური კანონი ვერა ჰიღრსებია იმას, რომ საყოველთაოდ იქმნას ცნობილი ეჭეშმარიტებად ყველა მეცნიერებისაგან. ამისდა მიუხედავად იგი, „მეცნიერულ“ სოციალიზმს მიმდევართა აზრით, მაინც უკვე განსაზღვრულ იდეალს ასაბუთებს მეცნიერულად, არა მარტო სოციალურ კანონებს, არამედ იდეალსაც.

მოიგონეთ სხვა მეცნიერებანი. მოიგონეთ მათემათიკა, ეს წმინდა მეცნიერება, ეს სიმამყე და გვირგვინი მეცნიერების. გაგიგონიათ და წაგიკითხავთ სადმე, რომ მათემატიკა მეცნიერულად რაიმე იდეალს ასაბუთებდეს? ეუეველია, თქვენ ისე არ გაგეგიგონებთ ეს, როგორც არ გაგეგონია ეგ. ეს ეს ეს.

ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ მათემატიკოსნი, ქიმიკოსნი, ბოტანიკოსნი და სხვა მეეენერნი გულაცივნი ან გულაკაენენი იყვნენ ბედნიერებისა და იდეალისთვის? სრულიადაც არა. მაგრამ იდეალის დასაბუთებას და ისიც მეეენერულ დასაბუთებას მაინც არ აძლევენ. რატომ? იმიტომ რომ მეეენერების საქმე იდეალი კი არა, ცოდნაა? მხოლოდ „მეეენერული“ სოციალიზმის მიმდევრებს ჩგონიათ, რომ სოციალურმა მეეენერებამ გაუწერის ყველა სხვა მეეენერებას და ანასოფოთ ის, რაც არც ერთ სხვა მეეენერებას არ აუსოფოფია,—დასაბუთოთ მეეენერულად განსაზღვრული იდეალი. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ „მეეენერული“ (ეგრო მართალი ეიქნებოდა, უმეკარი რომ ეწოდებოდეთ მათ-სოციალისტები და მარტო ოდენ ისინი არდევეენ მეეენერულ კვლევა-ძიების ძირითად მეენებს, მარტო ისინი სჩადიან ზეგენებულად თუ შეუფენებთად ამ სიყალბეს, რომელსაც ცოდნა ჰსურს გაანალოს ალეიოდეთ.

როგორც მკითველი ჰიეღავს, ჩვენი არგუმენტაცია „მეეენერულ“ სოციალისმის წინააღმდეგ ებრძვის არა სოციალიზმს, არა სოციალისტურ იდეალს, არამედ ის ყალბ ზეხედულებას, ვითომც სოციალისტური იდეალი მეეენერულად იყოს დამტკიცებული. სწორედ „მ აზრით ვსწერდით „ისარის“ 25 ე ნომერში: „სოციალისტური იდეალი სულ არ არის და არც შეიძლება დამტკიცებულ იქმნას მეეენერების თვალსაზიერსა“. „აზრის“ მეფელეტონე ეკ დიდის ზათქით და ზემოთ იეუწეკ)ბა urbi etorbi, „ისარმა“ დემოკრატიზის შემდეგ სოციალიზმი გადალახა, ახლა სოციალიზმს უარჰყოფს და ალარც ინტერესებს მას სოციალიზმის სგე-ბედი.

კიდევ ერთხელ, რა არის ეს? სიბრძნე თუ სიყალბე?

(შემდეგი იქნება)

ᲛᲔᲠᲘ ᲝᲛᲘ.

მრავალ უარყოფის მიუხედავად, რუსული გაზეთები მაინც განაგრძობენ ცნობების ბეკდვას ომის შესახებ. ეს კი უნდა შეგანშოთ, რომ ამნაირი ცნობები თითქმის განსაკუთრებით იბეჭდება იმნაირ შოვინისტურ გაზეთებში, როგორც „ნოვოე ვრემია“, „გოლოს მოსკოვი“ და სხვა.

„გოლოს მოსკოვი“-ს დეპეშით ატუობინებენ სოხუმიდან: ოსმალეთის ქვეშევრდომნი, უთვითოსად თამბაქოს მრეწველნი და მოგაკრენი დიდის სიჩქარით სპობენ თავიანთ საქმეებს. ახალ საქმეებს არავინ იწყებს, რაც მთელი შავი ზღვის სანაპიროზე უსაქმობას ჰპადენს, ამბობენ, ვითომ სარწმუნო წყაროდან გიგეთ, რომ სოხუმში სტამბოლიდან ვემეში მოვა ოსმალეთის ქვეშევრდომების წასაყვანადაო. ხალხი შეფიქრიანებულია.

იგივე გაზეთი იუწყება: პეტერბურგის პრესა შეეშინოვნა, უკანასკნელ დღეებში სალეჩრების მოქმედება მეტად გაცოცხლდა, ნამეტყრ ინგლისისა და გერმანიის სალეჩრების. სალეჩრების მიწურ-მოწურამ დიდად იმატა. შიფრად დეპეშებს და სანგანგებო შეკრიებს თავიანთ მთავრობებს წინად კვირაში ერთხელ უგზავნიენენ, ეხლა-კი ყოველ დღე უგზავენიან. სალეჩრები ძლიერ სერიოზულად სთვლიან საქმეთა ვითარებას და შესაძლებელად მიაჩნიათ, რომ ახლო მომავალში კვრობაში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა გამწვავდეს. 4 თებერვალს ხმა გავრცელდა, ზოგიერთ უცხო სახელმწიფოს ელჩები მალე საიდუსლო თათბირს მოახდენენ და მოილაპარაკებენ, რომ ზოგიერთი საკითხი ოსმალეთის შესახებ ჰაგის კონფერენციის გადაეცეს განსარჩევადო.

იგივე გაზეთი იუწყება: სახელმწიფო დაცვის კომისიაში ელიან ამ დღეებში პირველ მინისტრ სტოლიპინს და გარეშე საქმეთა მინისტრ იზვოლსკის. მინისტრები აუსხლინან კომისიას დაცვის უმაღლეს საპირველს და გარეშე პოლიტიკურ ამბებს.

ფრანგულ გაზ. „ეკლერ“-ს ატუობინებენ სტამბოლიდან: ოსმალეთის პროვინციებში მოლვანი ადელებენ მუსულმანებს; ეს მოძრაობა დიდი ხანია დაიწყო, იაპონელთა გამარჯვების შემდეგ, და ი ქნება შემდეგში სულთანმაც ვეღარ შეაჯენოს

ეს მოძრაობა. ამ ყმაწვილ კაჟასიის სახელადაზე უფრო ადვილი მოსალოდნელია ომი, ვიდრე ეგრეთბური აფსტრიის მიერ განხორციელ რკინის გზის გამო.

საქელმწიფო სათათბირო

პოლონური ენა სემინარიებში. 8 თებერვალს სახ. სათათბიროში საყურადღებო კამათი იყო პოლონურ და ლიტვურ ენების სწავლების შესახებ დასავლეთ გუბერნიების ზოგიერთ სემინარიებში. კანონ-პროექტი, რომელიც ეწარდგინა სათათბიროს, მოითხოვს პოლონურ ენის სწავლების საქიროებას ბელსკის, ხოლმსკის, ანდრეიეკის, სოლეცკის, სენნიკის, ვიტოლინსკის და ლენინიკის სამასწავლებლო სემინარიებში და აგრეთვე ლიტვურ ენის სწავლებას ვეიფერსის სამასწავლებლო სემინარიაში. კანონ-პროექტს, რასაკვირველია, დიდის წინააღმდეგობით დაუხვდნენ უკიდურესი მემარჯვენენი. ეპისკოპოსმა ევლოგიმ კანონის შესწორება წარუდგინა სათათბიროს, რომელის ძალით ამ ენების სწავლება საერთ დებულო არ უნდა ყოფილიყო; თუ მოწაფეები მოისურვებენ, მხოლოდ მაშინ ასწავლონო. ევლოგის იფუმალი განხორახვა ცხადია: სასწავლებლის მმართველობის ზედგავლენით არც არავინ გამოჩნდებოდა მსურველი და კანონიც გაუქმდებოდა. ასეთმა იეზუიტობამ ოქტომბრისტებიც კი აღელვა და ისინიც წინააღუდგნენ მემარჯვენეთ... მოვიყვანთ ამ ომის ზოგიერთ მომენტს.

კლეპოვსკი (ეპისკოპი რუსი) ჰაცია ცენტრს და ზემობს ოქტომბრისტებს პოლიტიკას. თუ თქვენ ამ კანონ-პროექტს დამტკიცებთო, ამბობს ის, ინოროდცების ანტირუსულ პოლიტიკას გამარჯვებს ხელს შეუწყობთო! (სიცილი მარცხნიდ, ტაშისცემა მარჯვენიდ).

ანრეკი (ოქტომბრისტი) ამბობს, რომ ყველას შეუძლია პატრიოტიზმი თავისებურად ესმოდეს, მაგრამ ყოველი დეპუტატი მოვალეა პატივისცემით ეპყრობოდეს რუსეთის ყოველ ერს. „რუსეთში ჩვენთვის ის უნდა არსებობდნენ მტერი-ერები, მოძულებული ერები; იმპერიის ყველა მცხოვრენი ძირსნი არიან ერთანარის მზრუნველობისა ჩვენის მხრით; ჩვენი მაცდურობა საჭიროა, რომ ყოველს ერს შეეძლოს რიგიანი ცხოვრება რუსეთში. დეე ყველა ერები, განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოებისა, თანასწორ მოკალაქეებად იყვნენ ორთავიან ორწოვან მონარქიაში (ტაშის ცემა ცენტრში და მარცხნიდ). ამ მოსაზრების მიხედვით, ეს. ევლოგის შესწორება უკეთ გდებულ უნდა იქნესს, ხოლო კანონ-პროექტი უნდა მივიღოთ, რადგან ამას მოიფიქრებს პოლონელთა განათლების საკმე“ (ხმაურობა და პროტესტები მარჯვნიდ).

გრ. უვაროვი (ზომიერი): „ეპისკოპოზის ევლოგის შესწორება სრულიად აქარწყლებს კანონს, რადგან დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ პოლონეთის სემინარიებში არ მოიძებნება მსურველები პოლონურ ენის სწავლისა, თუ ამის წინააღმდეგ მთავრობა იქნება, ვისაც პატიოტიზმის პრივილეგია აღიარა და მიუთვლია, ოქმის ისიც არ ესმით, რომ ოფის გარეუსების პოლიტიკასაც ვერ აწარმოებენ, თუ ადგილობრივი ენები არ „ოდნენებთ“.

ეპ. ევლოგი ენერგიულად იცავს თავის შესწორებას. პოლონურ ენის დაცველებია, ამბობს ის, სრულიად ივიწყებენ, რომ ხოლმეჩნინა—პოლონეთი არ არის, არამედ ძველ რუსეთის ოლქია.

კლეპოვსკის აზრით, კამათის გაგრძელება სრულებით მეტია; „ვისაც მკერდში რუსული გული უცემს, იმან უკა მოითოთაც იცის, როგორ მოიქცეს კანონის ყრის დროს“. ბოლოს ორატორი ირტყვენს ცენტრს: თქვენ რუსეთს ჰყიდითო!

_ გულკინი (ეპისკოპი რუსი) გაკვირვებულია, რათ დასჭირდათ პოლონელებს სათათბიროში ცალკე კოლოს დაარსებაზე*). ეი ეგრძნელი პატრიოტები რუსებთან სხვედან, პოლონელები კი განმარტებენ არიანნი. შემდეგ გულკინი იწყებს: ამის მტკიცებას, რომ პოლონელებმა დაიპყრეს ყველი ადგილობრივი დაწესებულებანი მაგრამ თავმჯდომარე სიტყვას შეაწყვეტინებს.

სახონოვინი (მემარჯვენე) „სანდოქალოდ სთელის ანრეკის ამხეცრობას რუსულ პატრიოტიზმს წინააღმდეგ. „რუსულ ენისა და მართლმადიდებლობის გადარცელება ყველგან ჩვენი წმინდა მოვალეობა უნდა იქნეს, სანამ არსებობს მშვენიერი რუსული ენა, სანამ ცოცხალი იქნება რუსის ხალხი“...

შემდეგ გამოდიან ოპოზიციის რამდენიმე ორატორი, რომელნიც მხარს უჭერენ კანონ-პროექტს და ბოლოს იგი მიღებულ იქმნა ხმის უმეტესობით

კამათი 180 დეპუტატის წინადადებას შესახებ. მემარჯვენე და უკიდურეს მემარჯვენე 180 დეპუტატმა წინადადება შეიტანა სათათბიროში იმის შესახებ, რომ ხაზინიდან შემწეობა ეძლეოდეს იმ მოხელეთ და მსახურთ, რომელნიც დაზარალდებიან „სარეფორმიანი პარტიების ავანტიურ მოქმედებისაგან“. წინადადების დამცველებათ გამოვიდნენ მემარჯვენენი და ცენტრიც.

გრ. ბობრინსკი მე-2: მეორე სახელ. სათათბიროში მე და ჩემმა ამხანაგებმა რამდენჯერმე მივმართეთ თხოვნით უმრავლესობას, დაგვმთ ტრარორი და მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა და ძალადობა. მაგრამ ჩვენმა მიმართვამ მაშინ არ გასჭრა. ალარ შეეწერდნენ ჩვენი ცხოვრების ამ სამწუხარო ამბავზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ წაიკითხეთ ის ბიულენი დრო, როცა პირველ სათათბიროში მხოლოდ ორმა კაცმა—სტახოვიჩმა და ბობრინ როზენმა—გაბედეს ამაზე ლაპარაკი; წაიკითხეთ ის დროა, როცა ჩვენც ამაოდ ვლაპარაკობდით ამაზე მეორე სათათბიროში. ახლა სხვა დროა და ახლანდელ სათათბიროსათვის საჭირო არაა იმის განმარტება, რამდენად აუცილებელ და სასარგებლო საქმედ უნდა მიგვაჩნდეს ტერორის და ძალადობის დაგმობა. ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ დღეს იქნება თუ ხვალ სათათბიროს ხმა მაღლა დაგმობს ტერორისა და მკვლელობას. მაგრამ ახლა ამაზე როდი გვაქვს საუბარი. ეხლა ჩვენ წინადადება შემოგაქვს, რომ ტერორისა და მკვლელობის მსგავსებათ—სახელმწიფოს სამსახურის იმ პირთ, რომელნიც თავის მოვალეობის ასრულების დროს ზარალდებიან—სახელმწიფომ სამაგიერო უზდოს... ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამისათვის გადაიდოს განსაკუთრებული ფონდი, რომელსაც სახელად ეწოდოს იმპერატორის ალექსანდრე მეორის ფონდი, რადგან ისიც რეფორიუციონერებმა აწამეს და ამ ფონდიდან შემწეობა ალმოეჩინოს იმთ, ვინც ახლანდელ რეფორიუციონერების მსგავსებათ ხდება!

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მფარავი ამბობს, რომ თავრობა სიბრალულით ეგებების ამ წინადადებას, რადგან ამ ამტნი ხედავს რეფორიუციის დაჩამობას ავტორიტეტულ სახელმწიფო დაწესებულებისაგან,—დაგმობას, რომელსაც თავრობა ამაოდ მოელოდა პირველ და მეორე სათათბიროსაგანაო. გარდა ამისა, როცა ეს პროექტი განხორციელდება, თავრობას გაუადვილდება რეფორიუციასთან ბრძოლა, რადგან პოლიციელთ და, საზოგადოთ, თავრობის აგენტებს ალარ შეაშფოთებს ის აზრი, რომელიც ახლა სულს უხუთავს, რომ მათი ცოლ-შვილი ულუკმაპაუროდ დარჩებიან, თუ მათ რამე დაეშავოთ. მაშინ ეცოდინებათ, რომ მათი ობლები უზრუნველყოფილი იქნებიან და უფრო მამაცად ასრულებენ თავის მძიმე მოვალეობასაო.

ბულოატი (ტრუდოვიკი) წინადადებაგი წინააღდეგია, რადგან სახელმწიფოს სხვა უფრო ცოდნილნ შენელოვანი საჭიროებები აქვსო.

პოკროვსკი (ს.-დ.) ამბობს, რომ რუსეთის რეფორიუციის დროს ავანტაკური პარტიებიკი არ მოკმედებენენ, მთელი ხალხი—ქალაქის პროლეტარიატი და გლეხობა—იყო წინააღმდეგი მთელის წესწყობილებისა. თუ გიგსინჯავთ, ამ ხალხმა ასჯერ და ათასჯერ უფრო მეტი ზარალი ნახა გიფაცვებისაგან, დამსჯელი რაზმებისაგან და თავრობის რეპრესიულ პოლიტიკისაგან, ამიტომ უფრო მართალი იქნება, ავანტაკობა თავრობის პოლიტიკას ეუფიენთო. (ატყდა სმენელი ყვირილი: „სიცრუეა“, „ძირს“ და სხვა). პოკროვსკი განაგრძობს: „ეუანანნელ ორი წლის განმავლობაში მკვლელობა, ცარცვა-გლეჯა და უუველგვარი ავანტაკობა ჩვენულებრივ მოვლენად გადაიქცა, მაგრამ ამის რა კაეშირი აქვს პოლიტიკურ პარტიებთან? ეს საზოგადოებრივ დაშლილობის მიზეზია და მხოლოდ სუსტი თავრობა დანაშაული, რომ ვერ შესძლო ამის მოსპობა. როგორ ებრძვის თავრობა ტერორის? რატომ არ მიმართავს თავის თვით საზოგადოებას? თავრობა ჭყარობს, რომ სახრჩობელით შეიძლება ტერორის მოსპობა. თუ მართლა გვინდა, რომ მოსპოს ეს სამწუხარო ამბები რუსეთის ცხოვრებაში, ამ კეთილიდან პირველად ყოველისა საერთო ამნისტიის ხმაურეთ გაისმას (ტაშის ცემა მარცხნიდ, სტვენა მარჯვენით). ამ კეთილიდან ჯერ უნდა გაისმას ხმა სიკეთილით დასჯის წინააღმდეგ. თავრობ თქვენ სასაცილოდ მიგიჩნიეთ ამნისტიაზე ლაპარაკი და სიკეთილით დასჯის მოსპობაზე ხმის ამოღება. თქვენთვის უფრო საგულისხმიერია თქვენ დაცველთა უზრუნველყოფა. დეე იყოს ანარქია, დეე მძვინვარებდეს ტერორი, ოღონდ თქვენ შეგიძლეთ დამშვიდენი ძილი თქვენს სასახლეებში და თბილ ქვეშსაგებელში“.

კუზნეცოვს ს.-დ. ფრაქციის მხრით შეაქვს წინადადება მთავრობის მოქმედების დაგმობისა და კანონ-პროექტის უარყოფის შესახებ.

ოქტომბრისტების მხრით გუზოვი მხარს უჭერს 180 დეპუტატის წინადადებას და მოითხოვს მის გადაცემას სათანადო კომისიაში კანონის შესამუშავებლად. ამასთანავე ცენტრის ლიდერი მიჩნიო თავს მემარჯხენეთ და უუტაცებს მათ—საჭირო თქვენც შემოგვიერთდეთ ტერორარის და ძალმომრეობის დაგმობაშია. ჩვენს დროში ტერორარმა დაჭარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა, თავისი გმირული ხასიათი; იგი დაწვრილდა, გიტალახიანდა და სრულებით უაზრო შეიქმნა. ამიტომ უფროა საჭირო, რომ მთელმა სათათბიროს ერთხმად დაგმოს ისა.

მეიენდორფი (მემარცხენე ოქტომბრისტი) ცდილობს გაახსენოს თავის ამხანაგთ, რომ ამ საკითხს მეორე მხარეც აქვს, რომ მთავრობის ზოგი მოქმედებაც დასაგმობია, რადგან „გადაჯარეს რეფორიუციასთან ბრძოლაში“. ყველამ ვიცით განაგრძო ბარონმა, რომ საგანგებო ღონისძიებანი, რომელებითაც მთავრობა რეფორიუციას ებრძვის, უმეტეს შემთხვევაში მშვიდობიან და უდანაშაულო ხალხს სწვდება; გარდა ამისა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ რეფორიუციასთან საბრძოლველადაც მარტო რეპრესიები როდი გამოსადეგი. ამიტომ თუ აქ წარმოდგენილ წინადადებას მივიღებთ და მკვლელობა-ძალმომრეობას დაგმობთ, ამავე დროს უნდა გამოვთქვათ იმედიც, რომ მთავრობაც მოიპოვებს ზნეობრივ ძალას, რომ უკუეგდებს თვითნებობის პრაკტიკას და ირჩევს მტკიცე კანონიერების გზას (ტაშის ცემა).

კადეტი შინგარეკი ამბობს, რომ 180 დეპუტატის წინადადება იურიდიულ ტეხნიკის მხრით სრულიად უვარგისია: იგი კანონპროექტი რიდია, რადაც სურვილის გამოთქმაა; ხოლო რუსეთის ხსნა სურვილების გამოთქმით არ შეიძლებო.

პოლონეთის კოლოს წარმომადგენელი დმოვსკი აცხადებს, რომ კოლო არაა იმის წინააღმდეგი, რომ ტერორის მსგავსებათ ხაზინიდან შემწეობა ეძლიოს. პოლონელთათვის საჭირო არაა ტერორის დაგმობი, იმიტომ რომ პოლონეთში რეფორიუციია უკვე დასრულდა, ხოლო ახლა რაც მკვლელობა-ძალადობაა—სულ უბრალო ავანტაკობაა, რომელსაც იდეა-ური დაგმობით ბოლოს ვეღარ მოუღებთო. მაგრამ პოლონელ დეპუტატებს არ შეუძლიათ ყურადღება არ მიაქციონ მეორე მხარეზე, განაგრძო დმოვსკიმ: პოლონეთში ანარხიას ასაზრდოებს მართვა-გმგეობის სისტემა რუსეთის მთავრობისა; არ შეიძლება წესიერება გამეფდეს იქ, სადაც მთავრობა საზოგადოების მტერია და სადაც იგი მშვიდობიან შრომას ებრძვის“.

სტრასნეი (ს.-დ.) ჭკოთხულობს კადეტების ფრაქციის ფორმულას, რომელი უარყოფილი 180-ის კანონ-პროექტი და დგმობილია ძალმომრეობა, სა-დანაც უნდა მომდინარეობდეს იგი.

შემდეგ იწყებს კენჭის ყრა. ს.-დ. ფორმულა უარყოფილია ყველას უმრავლესობით წინააღმდეგ ს. დ. და ტროდოვიკების ფრაქციებისა. ამგვარადვე უმრავლესობით უარყოფილია ტრუდოვიკების ფორმულა. კადეტების ფორმულას ეხარი დაუჭერეს მარტო კადეტებმა და მაჰმადიანთა ფრაქციამ. მემარჯვენენი ხმაზე თავიანთ ფორმულას და უკიდურესნენ ბობრინსკის მიერ წარმოდგენილ ფორმულას. პოლონელთა კოლოს ფორმულაც უარყოფილ იქმნა. ოქტომბრისტებსაც უკან მიაქვთ თავიანთი ფორმულა. სათათბიროს უმრავლესობა (ცენტრი და მემარჯვენენი) ბოლოს ადასტურებს გრაფ ბობრინსკის ფორმულას შემდეგს: შინაარსისა: „სახ. სათათბიროი აცხადებს ძმობ მწუხარებას და თან სასტიკად ჰგმობს ტერორისტულ ჭეტებს, რომელნიც რამდენიმე წელიწადია ხელს უშლიან ქვეყნის განვითარებას საქმეს და რომელთაც შემოაქვთ შუღლი და სისხლი რუსეთის ცხოვრებაშიო; ამასთანავე ჯობისად გადასცემს 180 დეპუტატის წინადადებას“.

ტერორისტებთა შეტყობინება

პეტერბურგში შეუპყრიათ რამდენიმე კაცი, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის წევრნი, რომელთაც, პოლიციის ცნობებით, განზრახვა ჰქონდათ მოეკლათ დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზოვის ძე, იუსტიციის მინისტრი შეგლოვიტოვი და უმეტესს მთავრობის რამდენიმე სხვა წარმომადგენელი.

ამ საქმის შესრულება პარტიას მიუნდია ეგრეთ წოდებულ „ჩრდილოეთის ოლქის მებრძოლ შფრინვა რაზმისთვის“. პოლიციას ამ განზრახვის შესახებ აღრე გაეგია და დაფაცურებულა. მალე გამოიკვლევა, რომ ტერორისტები მალ-მალ დადიოდნენ დიდ მთავრის სასახლესა და იუსტიციის სამინისტროს შენობასთან. 6 თებერვალს სამი კაცი სამინისტროს შენობასთან დამდგარა. ისინი თურმე მინისტრის შეგლოვიტოვის გამოსვლას ელოდნენ, მაგრამ მინისტრი ალარ გამოსულა. მეორე დღეს, 7 თებერვალს, შფრინვა რაზმის წევრნი ხელახლა გაჩენილან იმავ ადგილებში, ამიტომ პოლიცია შესცდომია მათ დაპატიმრებას. იტალიის ქუჩაზე, დიდ მთავრის სასახლის მახლობლად, შეუპყრიათ უცნობი. ამ კაცს ტანისამოსს ქვეშ ეცვა თურმე ლითონისაგან გაკეთებული ჩასაცმელი, რომელიც ძლიერ ასაფეთქებელი ნივთიერებას წარმოადგენდა. ამ უცნობთან ერთად შეუპყრიათ უცნობიები ქალი, რომელსაც დამალვა განუზრახავს და რაკი ვერ მოუხერხებია, რევოლვერი უსროლია საიდუმლო პოლიციის აგენტებისაკენ. შემდეგ შეუპყრიათ მეორე ქალი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს შენობასთან დადიოდა. ამ ქალს მუფტაში ალმოსჩენია ასაფეთქებელი ინარი. გოგოლისა და მარინის სასახლის კუთხეში შეუპყრიათ უცნობი კაცი, რომელიც წინა დღეს მინისტრის გამოსვლა ელოდა. გოგოლოვის ქუჩაზე შეუპყრიათ ქალი, რომელსაც, პოლიციაში მიყვანის დროს, დაუჭრია პოლიციელი. ვასილიევის კუნძულზე დაუპატიმრებიათ კაცი, რომელსაც შეპყრობის დროს დაუჭრია საიდუმლო პოლიციის აგენტი. ამ კაცის ბინაზე უნახავთ ორი ყუბარა და პოლიციელების ტანისამოსი. შეუპყრიათ კიდევ ერთი ქალი და უნივერსიტეტის სტუდენტი. ერთ-ერთის ბინაზე უნახავთ პოლიციელის ტანისამოსი და სხვა და სხვა ასაფეთქებელი ნივთიერება. ეკვთ შეუპყრიათ აგრეთვე რამდენიმე სხვა კაცი. (ჰ. დ. ს.).

ახალი ამბავი

◆ **საკითხი კოკეასიის ნამესტნიკის შესახებ.** გაზეთი „სტოლ. ბოსტა“ სწერს: „ამ დღეებში გადასწყვეს საკითხი ნამესტნიკის შესახებ კავკასიაში. ნამესტნიკის თანამდებობის აუქმებენ. სამოქალაქო ნაწილის გამგედ კავკასიაში დანიშნეს გენერალი ხარუზაევი, ხოლო სამხედრო ნაწილის გამგედ—გენერალი რენენკამფი.“ ორივე ეს გენერალი იბრძოლა ომში იღებდნენ მონაწილეობას. გენ. რენენკამფი შემდეგ ციმბირში დანიშნეს იქაურ ამბოხების ჩასაქრობად. გენ. ხარუზაევი ამ ომად სრულიად რუსეთის ქვეითი ჯარის ინსპექტორად ითვლება.

◆ **საგენერალო-გუბერნატორად** გადასახლება. ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, საგენ.-გუბერნატორში ცხოვრება აიკრძალოთ ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ შუბარანკოს, საგარეჯოს მცხოვრებს გრიგოლ გაბრიელოვს, ქუთაისის მაზრის მცხოვრებს თორაბ ყურბანოვს და სოფ. კოფთისუბნის მცხ. [illegible]

◆ **კრება არ შესდგა** [illegible] თეატრალურ საზოგადოებისა, დანიშნული [illegible] გადო კრება ტფ. ეკონომიურ საზოგადოებისა. კრებას უნდა განეხილა წესდება პროფესიონალურ კავშირისა. კრება არ შესდგა წესდებისა საკმარ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

◆ **საქმე ყალბ მოწმობების შესახებ ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოში.** სენატმა ეგზავნა ბაქმე ინ სიყალბ ბის შესახებ, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოში აღმოაჩინეს და რომელიც შეეხებოდა თავად-აზნაურობის ძმაბიერთა მოწმობებს. სენატმა დამნაშავედ ცნო ოთხი ბრალდებული თავადნი წერეთელი და ერისთავი და გამრეკელი და მაჰადავრიანი. პირველ სამს სენატმა გადაწყვიტა თანამდებობიდან გადაყენება. 1904 წ. მინიფესტის ძალით ეს სასჯელი მათ ეტატეთან: მაჰადავრიანს ციესაჯი უფლებათა ჩამორთმევა და წლითა და ათი თვით ციტიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ფოფხაძე გამამართლეს.

◆ **დაშენა.** ბაქოდან ვეგატყობინებენ: „8 თებერვალს ასფალტებდნენ ეკ-ბერგუნს. როდესაც პროცესია სასაფლოს მიეახლოვა, ვიღაც ყმაწვილმა კაცმა, ესე 20 წლისამ, სამჯერ რევოლვერი გაისროლა. დაკარნენ ძმიდან სატეხნიკოს სასწავლებლის დირექტორი, მსუბუქად ვასილ დანლოვი, მასწავლებელი სიმონ დაიდუკეევი და მოსწავლე ბოდდან ავაქოვი. მსროლელი ვერ დაიჭიეს.

◆ **დამშეულთა დახმარება ხაზინიდან.** უკვე ეწერდით, რომ ნამესტნიკმა შეუამდგომლოთა ალმანი, გადაიდოს ხაზინიდან ამიერ-კავკასიაში მოუსავლეობით დაზარალებულთა დასახმარებლად 2,653,500 მ. უმეტესს მთავრობას გადაუდგია მხოლოდ 1,900,000 მ.

◆ **ნ. შავროვი დაუბოვნეს.** კავკასიის საბჭოს შუმი სადგურის უფროსი, ცნობილი პატრიოტი ნ. ნ. შავროვი, „გზაზ“ თვის სიტყვეთ, მთავრობას სამსახურიდან დაუთხოვნია.

◆ **სამშვინა ეფარნალი.** სომეხ მასწავლებელთა კავშირს განუზრახავს გამოსცეს ტფილისში ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი „ახალი სკოლა.

◆ **ქართულ დრამატიულ დასის რეპეტიცია.** ქართულ დრამატიულ სახ. გამგეობას ქართულ დასის რეპეტიორად ტფილისში მიუწვევია ალ. ი. ყანჩელი.

◆ **უთანხმოება ტრამვაის.** ტფ. ტრამვაის ახალს დირექტორის ალიბეგოვსა და მოსამსახურეთა შორის უკვე ჩამოვარდა უთანხმოება. ახალმა დირექტ. მოსურვა მოსამსახურეთა მიერ მოპოვებული უფლებათა გაუქმება. ამ ორი-სამი დღის წინად ალიბეგოვმა მოიწვია მოსალაპარაკებელად მოსამსახურეთა წარმომადგენელნი და გამოუცხადა: თქვენ მიერ მოპოვებული უფლებანი ტრამვაის შემოსავალი ისე შემცირდა, რომ უსაბელო ხაზოგადოება მოგვბის ნაცვლად თავ ს ჯიბიდან ადგს ფულებსაო. ალიბეგოვს სტატეგია, ეოტა არ იყოს სინამდვილეს არ ეთანხმება. როგორც უსაბელო საზოგადოების ანგარიშიდან ჩანს საზოგადოებას ყოველ წლიურად 200,000 მანეთზე მეტი მოგება აქვს. უფლებების მოსპობის ნაცვლად უმჯობესი იქნება დირექტორმა ვაგონებისა და მოსამსახურეთა რიცხვს მოუმატოს. მაშინ შესაძლებელი გახდება დამე გვიანობამდე მუშაობა და წესიერ მიმოსვლის მოწყობა.

◆ **ორი კაცის მოკვლა.** 10 თებერვალს, დილის 10½ საათზე, ველიამინოვ ს ქუჩაზე, ვიღაც მესამე გიმნაზიის მახლობლად, რამდენმაე კაცმა რევოლვერით სროლა აუტეხა ხარკოვის გუბერნიის ვლეხებს ტიმოთე კრეტოვს და ნიკიფორ კუტლიანოვს. ორივე იქვე მოჰკლეს უცნობებმა დასჭრეს შემთხვევით გამავლელი დავიდ მიხოილოვიჩი. უცნობებს 30 ჯერ კიდევ გაუსროლიათ რევოლვერები და მიმალულან.

◆ 9 თებერვალს, ნაშვადაშვილ 2 საათზე, მოდიგიანს მე-6 ნაწილის საათადარაგო გორდოფოვი ბალტან ივდოვეი ორის ამხანაგით შესულა ნეკრასოვის და ალექსანდრეს ქუჩის კუთხეში „ეკონომიკის“ რესტორანში და მოგთხოვნია ალკოჰოლი. ალდოვეი მთავრობი ეფიციანტ და როგა-ამბავ ამხანაგებ ალარ გასულან, მას ეშინოდა ალკოჰოლი ეკ.

ტესი—ვით